



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების 027/19<sup>1</sup> მიმოხილვა

მარიამ კირაკოზაშვილი (სტუდენტი)

### ფაქტები

ადვოკატი, საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგენს საკასაციო საჩივრის ავტორის ინტერესებს. საქმის განმხილველ კოლეგიაში, ერთ–ერთი მოსამართლე ადვოკატის ნაცნობი იყო. საქმის მიმდინარეობისას ადვოკატი, მუდმივად ცდილობდა კომუნიკაციას მოსამართლესთან და მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე მას არ პასუხობდა, მაინც აწვდიდა ინფორმაციას საქმის დეტალებთან დაკავშირებით. ადვოკატი, სოც. ქსელისა და მობილური შეტყობინებების მეშვეობით უგზავნიდა ინფორმაციას და ერთ–ერთ შეტყობინებაში, მან მოსამართლეს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება მოსთხოვა, მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში კი გამოყენებული იყო ტერმინები: „ძალიან გთხოვთ დამეხმარეთ რა... დაგვიკმაყოფილოთ საკასაციო საჩივარი.. მოსარჩელე მ. მ.-ს,.. მოპასუხე სსიპ ქონების მართვის სააგენტო“. ადვოკატი, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის ნორმათა დარღვევის გამო, დაჯარიმდა.

### პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში საჩივარი წარადგინა მოსამართლემ სასამართლოსთან კომუნიკაციის წესების დარღვევის საფუძველით. ეთიკის კომისიამ მიიღო დისციპლინარული დევნის აღძვრის გადაწყვეტილება, აპეკ–ის 9.2 მუხლის დარღვევის თაობაზე.

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატს, კონკრეტულ საქმეზე, მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმების ან საპროცესო კანონმდებლობით ნებადართული შემთხვევების გარდა, უფლება არ აქვს შეხვდეს ან დაუკავშირდეს მოსამართლეს. ადვოკატმა კლიენტის დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული საშუალებები, დაუშვებელია კლიენტის ინტერესების დასაცავად მოსამართლის მიმართ რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენა. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპიდან და მიზნად ისახავს სასამართლოზე ნებისმიერი ზეგავლენის განხორციელების აკრძალვას. მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებლობის პრინციპი ზოგადი ხასიათისაა და ნებისმიერ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს, იქნება ეს რჩევის მიღება თუ დახმარების თხოვნა, ან უბრალოდ ინფორმაციის მიწოდება საქმესთან დაკავშირებულ არსებით საკითხებზე. არ აქვს მნიშვნელობა კომუნიკაცია ცალმხრივია თუ ორმხრივი, ის განხორციელდა, თუ ადგილი ჰქონდა მხოლოდ მის მცდელობას.

ადვოკატმა განსაკუთრებით უნდა დაიცვას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზოგადი სტანდარტი და ამ ვალდებულების დაცვას დამატებით უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსი, რომელიც საერთო სასამართლოების შესახებ კანონით გათვალისწინებულ მოსამართლესთან კომუნიკაციის წესის დარღვევას აფასებს ადვოკატის ეთიკურ გადაცდომად. შესაბამისად, ზოგადი აკრძალვა ექსპარტე კომუნიკაციის კიდევ უფრო მკაცრია ადვოკატებთან მიმართებით, ვინაიდან ის უკავშირდება ადვოკატის მაღალ სტატუსს და მის უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ადვოკატები

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5e2ff0dfec614.pdf/027.19%20%20kerdzo%20sarekomendacio%2017.09.2019.pdf>

წარმოადგენენ თვითრეგულირებად პროფესიას, ისინი მონაწილეობენ განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამაში და მათთვის კარგად ცნობილი უნდა იყოს მოსამართლესთან ექსპარტე კომუნიკაციის დაუშვებლობა და საქმის შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის დაცვით განხილვის მნიშვნელობა.

ადვოკატი, მოსამართლესთან გაგზავნილ შეტყობინებებში, პირდაპირ მიუთითებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილი საკასაციო საჩივრის მხარეებს და მისთვის სასურველ შედეგს. შესაბამისად, ადვოკატის მიზანი ამ მოქმედებების განხორციელების დროს იყო კონკრეტულ საქმეზე მოსამართლისთვის ინფორმაციის მიწოდება და მისი დახმარება საქმეზე ადვოკატისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად, რაც მისი როგორც პროცესის მონაწილის მხრიდან, მოსამართლეებთან კომუნიკაციის დაუშვებლობას ეწინააღმდეგება.

## **დასკვნა**

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან აპეკ-ის 9.2 მუხლის დარღვევის დაქტი. კომისიამ გაითვალისწინა ადვოკატისა და მოსამართლის ახსნა-განმარტებაში მითითებული პოზიციები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ადვოკატს განუსაზღვრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.